

## რა არის ტრეფიკინგი?

ტრეფიკინგი ანუ ადამიანი გაჭრობა გულისხმობს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისუფალი ნების წინააღმდეგ და გულისხმობს მის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელებას მისი ექსპლუატაციის მიზნით.

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლის თანახმად ტრეფიკინგის დანაშაულად ითვლება:**

ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იბულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თავლითობით, მოტყუებით, უმწყო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაუროს ანდა სარეგების მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაზიდვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

## ვინ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი?

ადამიანი, რომელიც იბულებით, მოტყუებით ან რაიმე სხვა საშუალებით მოიტაცეს, გადაბირეს და შემდეგ გაუწიეს ექსპლუატაცია ტრეფიკინგის მსხვერპლი უსიძლოა გახდეს ადამიანი

## რა არის ექსპლუატაცია?

ექსპლუატაციად მიიჩნევა სარგებლის მიღების მიზნით:

- შრომის ან სექსუალური მომსახურების გაწევის იბულება;
- პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ახტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა;
- ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იბულებით ან მოტყუებით აბოლება, გადახერგვა ან სხვაგვარად გამოყენება;
- არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ სამუშაოს/მომსახურების შესრულება, თუ მას არ შეუძლია ამ გარიგების შესვლა ამ პირზე დამოკიდებულების გზით.
- დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა გარემოებით;
- საიდენტფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევით; თავისუფალი გადაადგილების უფლებების შეზღუდვით;
- ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის კონტროლით;
- იბულებით ან დამაშინებელი გარემოს შექმნით და სხვა.

112 - უფასო ცხელი ხაზი 24 საათის განმავლობაში

2 100 229 - ადამიანი გაჭრობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცხელი ხაზი

2 411 714 - ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ცხელი ხაზი

**კავიანთი კაბუჩი (ტაუმიხში)**



**პროზის თანამედროვე ფორმა**



## როგორ დაფიცვათ თავი ტრეფიკინგისგან?

- ნუ დათანხმდებით საზღვარგარეთ არაღკვედიურად დასაქმებაზე.
- არაგის გადასცემთ პასპორტი და პირადი საბუთები.
- შეინახეთ თქვენი ყველა საბუთის ასლი უსაფრთხო ადგილას.
- მოიძიეთ სრული ინფორმაცია იმ ადგილისა და დამსაქმებლის შესახებ, სადაც აპირებთ გამგზავრებას (სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი) და გადაამოწმეთ სანდოობა.
- საზღვარგარეთ გამგზავრებამდე მოიძიეთ საკონსულოს საკონტაქტო ინფორმაცია.
- არ დათანხმდეთ შრომით ურთიერთობაში შესვლას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე.

## განსოვდეთ!

- ტრეფიკინგის (აღამიანით გაჭრობის) მსხვერპლი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმ დანაშაულებზე, რომლებიც მან ჩაიდინა მსხვერპლად ყოფნის დროს/გამო;
- საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დასჯადია აღამიანით გაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა.

## თუ თქვენ მაინც გახდით ტრეფიკინგის მსხვერპლი ან გემუქრებათ საფრთხე. მიმართეთ:

- ადგილობრივ სამართალდამცველებს;
- საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებებს იმ ქვეყანაში, სადაც იმყოფებით.

## იცოდეთ!

აღამიანით გაჭრობა (ტრეფიკინგი) განისაზღვება, როგორც მოწოდების თანამედროვე ფორმა. ყოველწლიურად მსოფლიოში ათიათასობით აღამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი.

დაიცავით თავი და დაიცავით სხვისი სიცოცხლე! ნუ გახდებით დანაშაულის თანამონაწილე!

აღამიანით გაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლია, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი უზრუნველყოფს მსხვერპლთა/დაზარალებულთა:

- თავშესაფრით მომსახურებას;
- იურიდიულ დახმარებას;
- მსხვერპლთათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებას;
- სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვას;
- სატელეფონო საკონსულტაციო მომსახურებას: ☎ 2 100 229